საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის

2018 წლის ანგარიში

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) 2018 წელს ითვალისწინებდა სააგენტოს აწარმოე საქართველოში პასუხისმგებლობას მიკუთვნებულ 2 აქტივობას, საერთო ბიუჯეტით 3,000,000 ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ 31.12.2018 წლის მდგომარეობით შეადგინა 8,209,045 ლარი.

2017-18 წლებში, სოფლად, საჯარო ფინანსებით მხარდაჭერილია 2753 (2017 წელს 1958, ხოლო 2018 წელს 795) მცირე და საშუალო საწარმო (SME).

2018 წლისათვის სააგენტოს პასუხისმგებლობას მიკუთვნებული აქტივობების ძირითადი მაჩვენებლები:

ამოცანა	აქტივობა	საპროგნოზო ბიუჯეტი 2018 წ	ფაქტიური შესრულება 31.12.2018 წლის მდგომარეობით
პრიორიტეტული სფერო 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა			
ამოცანა 1: სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით	1.2.1 მეწარმეობის განვითარება	1,800,000	4,269,919
ამოცანა: 2 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე	1.3.1 ტურიზმის განვითარება	1,200,000	3,939,126
სულ		**3,000,000**	**8,209,045**

ევროკავშირსა და საქართველოს შორის 04.12.2017 წლის დაფინანსების ხელშეკრულებით (ევროპის სამეზობლო პროგრამა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD Georgia III) გათვალისწინებული საბიუჯეტო დახმარების მეორე ტრანშის ცვლადი კომპონენტის 1.2.1 ინდიკატორის შესრულების მიზნით, სამოქმედო გეგმის ფარგლებში:

- **მეწარმეობის განვითარებისთვის** გათვალისწინებულია ერთი აქტივობა (1.2.1) საერთო ბიუჯეტით 1,800,000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 31.12.2018 წლის მდგომარეობით შეადგინა 4,269,919 ლარი, წლიური მაჩვენებლით 237.21 %.
- **ტურიზმის განვითარებისთვის** გათვალისწინებულია ერთი აქტივობა (1.3.1) საერთო ბიუჯეტით 1,200,000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 31.12.2018 წლის მდგომარეობით შეადგინა 3,939,126 ლარი, წლიური მაჩვენებლით 328.26 %.

დეტალური ინფორმაცია სააგენტოს პასუხისმგებლობას მიკუთვნებული აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით მოცემულია „საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2018 წლის შესრულების ანგარიშში“.